დამტკიცებულია
დირექტორის 2023 წლის
N ბ/75 ბრძანებით

განხილულია
პედაგოგიური საბჭოს სხდომაზე

კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია

ქ.თბილისი-2023-2024 ს.წ.

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1.1.შპს სკოლა-ლიცეუმი,,სანთელის“(შემდეგში სკოლა) კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის (შემდგომში მეთოდოლოგია) დოკუმენტში, აღწერილია სასკოლო კურიკულუმის,იგივე სასკოლო სასწავლო გეგმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია.

1.2.სასკოლო კურიკულუმის მართვა ციკლური პროცესია და მოიცავს-დაგეგმვა-გაზიარებას; მონიტორი შეფასებას;გადასინჯვას-ცვლილებების განხორციელებას; ანალიზსა და ანგარიშის მომზადებას;

1.3.სასკოლო კურიკულუმი გამომდინარეობს ეროვნული სასწავლო გეგმიდან, ზოგადი განათლების შესახებ საქართველოს კანონიდან, ზოგადი განათლების ეროვნული მიზნებიდან, საქართველოს კონტიტუციიდან და სხვა ნორმატიული აქტებიდან და მასში მოცემულია ის საკითხები,თუ რას სთავაზობს სკოლა მოსწავლეებს მისიით, ხედვითა და ღირებულებებით განასაზღვრული მიზნების მისაღწევად.

1.4.ეროვნული სასწავლო გეგმა განსაზღვრავს ზოგად ორიენტირებს სწავლა-სწავლების მიზნებთან და სასწავლო პროცესის ორგანიზებასთან . ამ მიზნების დაკონკრეტება კი სასკოლო კურიკულუმის დონეზე ხდება.

მუხლი 2. კურიკულუმის არსი და რაობა

2.1.სასკოლო კურიკულუმი გამომდინარეობს ეროვნული სასწავლო გეგმიდან და მოიცავს ინ-ფორმაციას იმასთან დაკავშირებით თუ რას სთავაზობს სკოლა მოსწავლეს პიროვნული გან-ვითარებისთვის და მოი ინფორმაციას იმასთან დაკავშირებით თუ;

- რა საგანმანათლებლო პრინციპებს ეფუძნება სასწავლო პროცესი სკოლაში;
- რა საგნებს და საგანმანათლებლო სერვისებს სთავაზობს სკოლა მოსწავლეს;
- როგორია საათობრივი ბადე და მოსწავლის დატვირთვა სკოლაში;
- რა გრძელვადიან მიზნებს ემსახურება სწავლა-სწავლების პროცესი (კონკრეტული საგნების სწავლა-სწავლების მიზნები/შედეგები/მოლოდინები)
- რა სასწავლო რესურსებზე დაფუძნებით ხდება გრძელვადიან მიზნებზე მუშაობა;
- რა მეთოდები და სტრატეგიები გამოიყენება სასწავლო პროცესში;
- როგორ ხდება მოსწავლეების მიღწევების აღწერა და შეფასება;
- რა მეთოდებსა და მექანიზმებს იყენებს სკოლა კურიკულუმის განვითარებისთვის (შემუშავება, დანერგვა, მონიტორინგი და შეფასება, გადასინჯვა და რევიზია).

2.2.კურიკულუმის ფუნქციაა ერთი მხრივ წარმოაჩინოს სკოლის ტრადიციები და პრიორიტეტები- მეორეს მხრივ კი უზრუნველყოს შეთანხმება სასკოლო საზოგადოების წევრებს შორის..

2.3.კურიკულუმის დანერგვა,გარდა სკოლის ადმინისტრაციისა, მეტწილად ემყარება ყოველდღიურ სასწავლო პროცესს და მასში ჩართულ სასკოლო საზოგადოებას. შესაბამისად, მნიშნელოვანია მათი მხრიდან სასკოლო კურიკულიმის შინაარსის გაზიარება და შემდგომი განვითარება

მუხლი 3. კურიკულუმის მიზნები

3.1.სკოლა ვალდებულია, დააფუძნოს სასწავლო პროცესი ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ სწავლა-სწავლების პრინციპებს.. სკოლა ორიენტირდება ეროვნული კურიკულუმით განსაზღვრულ მიზნებზე და გამოკვეთს საკუთარ მისიას, ხედვასა და ღირებულებებს.;

3.2.სკოლა ვალდებულია ასწავლოს ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული სავალდებულო საგნები, თუმცა, მისიის რეალიზებისთვის, სკოლა მოსწავლეებს სთავაზობს ეროვნული სასწავლო

გეგმისგან განსხვავებულ საათობრივ დატვირთვას, დამატებით სავალდებულო საგნებსა და დამატებით საგანმანათლებლო მომსახურებებს.;

3.3.ეროვნული სასწავლო გეგმა სავალდებულოდ განსაზღვრავს სავალდებულო საგნების სწავლა-სწავლების მიზნებს (ზოგიერთ საგანში სასწავლო თემებსაც), თუმცა, სკოლა კათედრებზე განიხილავს და არჩევს რა საგნობრივ საკითხებს შესთავაზებს მოსწავლეებს ამ მიზნების მისაღწევად. იყენებს როგორც გრიფირებულ სახელმძღვანელოებს და დამხმარე რესურსებსაც.

3.4.სასკოლო სასწავლო გეგმაში აღწერილია ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული სწავლა-სწავლებისა და შეფასების მეთოდოლოგიური საფუძვლები, რომელსაც სკოლა სრულად ითვალისწინებს.

მუხლი 4. პროცესებზე პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეულები

სასკოლო კურიკულუმის შემუშავება და განვითარება კომპლექსური პროცესია, რომელშიც ზოგადად სასკოლო საზოგადოებაა ჩართული,; მნიშვნელოვანი როლი აკისრია დირექტორის მოადგილეს სასწავლო-აღმზრდელობით დარგში და ხარისხის მართვის მენეჯერს;

მუხლი 5. პროცესში ჩართული მხარეები

5.1.სასკოლო სასწავლო გეგმის განვითარება მოსწავლეების, მშობლების, მასწავლებლებისა და ადნინისტრაციას შორის თანამშრომლობის რეჟიმში მიმდინარეობს. .ამ პროცესში რეალური მონაწილეობა გულისხმობს არა მხოლოდ ინფორმირებასა და კონსულტირებას, არამედ ინტენსიურ თანამშრომლობასა და გამჭვირვალე ანგარიშვალდებულების სისტემის დაწესებას.

5.2.კურიკულუმის განვითარების პროცესში მასწავლებლებსა და ადმინისტრაციას მკაფიოდ განსაზღვრული ფუნქციები აქვთ. კერძოდ:

- სწავლა-სწავლების პროცესში მასწავლებელი ვალდებულია აქტუალური და პრობლემური საკითხები განიხილოს მოსწავლეებთან და მათ მშობლებთან, რაც აჩენს სივრცესა და შესაძლებლობებს კურიკულუმის განვითარების პროცესში მათ ჩართულობას;.
- მშობელთა ჩართულობა სასწავლო პროცესში ხდება მათი ინიციატივით ზეპირი თ უ წერლობითი განცხადებებით, სკოლის ინიციატივით გამოკითხვების საშუალებითა და მშობელთან ურთიერთობის დებულებით განსაზღვრული სხვა მექანიზმებით.
- კურიკულუმის განვითარების პროცესში მასწავლებლებისა და ადმინისტრაციის უმთარესი ვალდებულებები უკავშირდება უშუალოდ სასწავლო პროცესს, რომელიც გაწერილია სკოლის წესდებაში.

მუხლი 6. სასკოლო კურიკულუმის შემადგენელი ნაწილები

სასკოლო კურიკულუმი იქმნება თვითეოეული საფეხურისთვის (დაწყებითი, საბაზო და საშუალო) დამოუკიდებლად და მოიცავს შემდეგ ნაწილებს:

ა).საათობრივ ბადეს;

ბ).საგნობრივ კურიკულუმებს;

გ).მოსწავლის შედეგების შეფასებას;

დ).საგანმანათლებლო რესურსებს;

ე). ე.ს.გეგმით გათვალისწინებულ დამატებით საგანმანათლებლო მომსახურებას;

ვ). ე.ს.გეგმით გაუთვალისწინებელ დამატებით საგანმანათლებლო სააღმზრდელო მოსახურებას;

ზ).ე.ს.გეგმაზე დაყრდნობით შემუშავებული ინდ.სასწ.გეგმას;

თ).არაფორმალურ განათლებას;

ი).სკოლის ბიუჯეტს;

მუხლი 7. სასკოლო კურიკულუმის განვითარების ძირითადი პროცესები

კურიკულუმის განვითარება მუდმივი პროცესია.. სკოლა წინა წლის კურიკულუმის მონაცემების ანალიზის საფუძველზე ყოველწლიურად ანახლებს დოკუმენტს..

1. <u>პროცესის დაწყება</u> სასკოლო კურიკულუმის შემუშავების პროცესი იწყება წინა წლის კურიკულუმის გაანალიზების პარალელურად; მისი განხორციელების პროცესის ანალიზისა და შეფასების-საფუძველზე,. ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების მიხედვით, სასკ.სასწავლო გეგმა უნდა დამტკიცდეს ახალი სასწავლო წლის დაწყებამდე არაუგვიანეს ერთი კვირით ადრე..

1.2. **<u>პროცესის ეტაპები</u>** –კურიკულუმის განხორციელება გულისხმობს შემდეგ ფაზებს:

ა) კურიკულუმის შემუშავება,

ბ) დანერგვა,

გ) მონიტორინგი და შეფასება,

დ) გადასინჯვა და რევიზია.

ა) კურიკულუმის შემუშავება გულისხმობს გასული სასწავლო წლის, სასწავლო პროგრამის მონიტორინგისა და შეფასების საფუძველზე, განხორციელებული კურიკულუმის გადასინჯვა და შედეგად ახალი კურიკულუმის შემუშავება. შემუშავებაში ჩართული არიან: დირექტორი, მოადგილე, ხარისხის მართვის მენეჯერი, პედაგოგები, მშობლები და მოსწავლეები თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში..

შემუშავების პროცესი შესაძლოა მოიცავდეს შემდეგს:

- საზოგადოების კმაყოფილების კვლევას;
- კანონმდებლობის ანალიზს;,
- საჭიროებების კვლევას;
- საათობრივი ბადისა და დატვირთვის განსაზღრას;
- სახელმძღვანელოებისა და რესურსების შერჩევას;
- დამატებითი საგანმანათლებლო მომსახურებების განსაზღვრას;
- სასკოლო ღონისძიებების დაგეგმვას;
- საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსგან შესაბამისი ნებართვების მიღებასა და სხვა საჭირო ეტაპებს;.

ბ) დანერგვა გულისხმობს დაგეგმვის ფაზაში შეთანხმებული გეგმების განხორციელებას და იმ ეფექტების აღწერას, რომელიც დასახულმა გეგმებმა სასკოლო საზოგადოებაზე მოახდინა. გავლენა.

კურიკულუმის დანერგვაში უდიდესი როლი აქვთ მასწავლებლებს, დამრიგებლებსა და საგნობრივ კათედრებს. გამოცდილების ურთიერთგაზიარებით ხდება დანერგვაში ხელშე-წყობა, რაც განსაკუთრებით ეხმარება ახალ კადრებს.

გ). მონიტორინგი და შეფასება

1. მონიტორინგი და შეფასება არის სასწავლო პროცესის თანმდევი ნაწილი, რომელიც უზრუ-ნველყოფს პროცესების ხარისხიან მიმდინარეობაზე ზედამხედველობას და მხარდაჭერას. მო-ნაცემთა შეგროვება, ანალიზი, რეფლექსია და რევიზია ემსახურება მოსწავლის სწავლის ხარ-ისხის შეფასების გაუმჯობესებას.

2.სკოლა წინა წლის კურიკულუმის მონაცემების ანალიზის საფუძველზე ყოველწლიურად ანახ-ლებს დოკუმენტს..ამ მიზნით მნიშვნელოვანია, სკოლაში ურთიერთობები დამყარებული იყოს ნდობასა და მხარდაჭერაზე. მონიტორინგი და შეფასება განიხილება როგორც კონსტრუქციუ-ლი უკუკავშირი განვითარებისთვის, შესაბამისად მონიტორინგი და შეფასება დაფუძნებულ-ია მხარაჭერასა და გუნდურ მუშაობაზე, მიზნობრივ დაგეგმვასა და რეფლექსიაზე.

უმნიშვნელოვანესია, რომ მასწავლებელებს ჰქონდეთ ავტონომიურობის და დამოუკიდებე-ლი მოქმედების თავისუფლება, შესაძლებლობა, რომ დაგეგმონ, განახორციელონ ინოვაცი-ური ხედვები, რომელიც მიმართული იქნება კურიკულუმის განვითარებისკენ და სწავლის პროცესის და შედეგების გაუმჯობესებისაკენ.

3.მონიტორინგი არის პროცესი, რომლის ფარგლებში მოწმდება კურიკულუმით განსაზღვ-რული შედეგების შესრულება, ხარვეზების გამოვლენა და რეკომენდაციების განსაზღვრა. მონიტორინგი ადგენს მიმდინარეობს თუ არა პროცესი დაგეგმილის შესაბამისად.

4.**მონიტორინგის მეთოდები/ მექანიზმებია:** პროცესზე დაკვირვება, ანკეტირება, ინტერვიუ, კითხვარის შევსება, გაკვეთილზე დასწრება, დოკუმენტაციის შესწავლა, მონაცემების შეგროვება მოსწავლეთა ნამუშევრების, შეფასების და მიღწევების შესახებ, ფოკუს ჯგუფები, გამოკითხვები, მონაცემების შეგროვება სოციალური ქსელებიდან და სხვა. სკოლაში მონიტორინგის მეთოდებთან ერთად გაწერილია ვადები და პასუხისმგებელი პირები.

5.დაკვირვების პროცესში მთავარი აქცენტი კეთდება იმაზე, თუ რამდენად ხორციელდება საკლასო ოთახში დაგეგმილი შუალედური მიზნები/შემოქმედებით პროდუქტზე მუშაობა და რამდენად ხდება მოსწავლეების შეფასება/მხარდაჭერა ამ დავალებებზე მუშაობის პროცესში.

6. შეფასება. შეფასება ნიშნავს მონიტორნგის შედეგად შეგროვებული მონაცემების გაანალიზებას და შემდგომი რეაგირების საჭიროების განსაზღვრას. ესე იგი შინაარსობრივ ანალიზს, შესრულებული საქმიანობის ხარისხის კონტროლს. ანალიზის დროს განსაკუთრებული ყურადღება მახვილდება შემდეგ სამ ასპექტზე:

ა) მოსწავლეების შედეგების დიაგნოსტირება სწავლის პროცესში დაგროვილი ხარვეზებ-ის გამოსავლენად ეროვნული სასწავლო გეგმის შედეგებთან მიმართებით;

ბ) სკოლის ბაზაზე მასწავლებლის პროფესიული განვითარება;

გ) სკოლის ინსტიტუციური განვითარება.

ანალიზი სკოლას ეხმარება ხარვეზების გაანალიზებაში და შემდგომი დაგეგმვის პროცეს-ის უკეთესად წარმართვაში.

7.გაანალიზებული მონაცემების საფუძველზე, სკოლის ხარისხის ჯგუფი აკეთებს კურიკუ-ლუმის განხორციელების ანგარიშს და წარუდგენს მას სასკოლო საზოგადოებას.

დ) გადასინჯვა და რევიზია.

ახალი სასწავლო წლისთვის კურიკულუმის დამტკიცებას წინ უძღვის წინა სასწავლო წელს განვლილი პროცესების გაანალიზება შემდეგი მიმართულებების მიხედვით:

მოსწავლეთა ჩართულობა სასწავლო პროცესში:

- რა ფაქტორები და სასწავლო პრაქტიკა აფერხებდა ან უწყობდა ხელს საგაკვეთილო პროცესებში მოსწავლეთა აქტიურ ჩართულობას (მათი მხრიდან კრიტიკული აზროვნე-ბის, შემოქმედებითობის, მოქალაქეობის (ემპათია, პასუხისმგებლობა), ხასიათისა და ნებელობის, კომუნიკაციის უნარების გამოვლენას
- რამდენად მონაწილეობდნენ მოსწავლეები სასწავლო პროცესის დაგეგმვისა და გადაწყვეტილებების მიღების პროცესში;
- რა ფაქტორები/პრაქტიკა უწყობდა ა ნ უშლიდა ხელს მათ ჩართულობას გადაწყვეტი-ლებების მიღებისა და სასწავლო პროცესის დაგეგმვის პროცესში; -

მოსწავლეთა შედეგები:

- რამდენად გაუმჯობესდა წინა სასწავლო წელთან შედარებით მოსწავლეთა შედეგები;
- რა ფაქტორები/სასწავლო პრაქტიკა უწყობდა ან უშლიდა ხელს მოსწავლეთა მოსწრების გაუმჯობესებას; -

მშობელთა ჩართულობა:

- რამდენად გაითავისეს (გაიაზრეს, გაიზიარეს) მშობლებმა სკოლის ფილოსოფია (მისია-ხედვა-ღირებულებები) და სასკოლო კურიკულუმი (სწავლა-სწავლების მიზნები, სწავ-ლების მეთოდების შესაბამისობა სასწავლო მიზნებთან, სასწავლო რესურსების გამოყ-ენებისა და შეფასების პრინციპები);
- რამდენად შეძლეს მათ სკოლის მისიისა და კურიკულუმის დაკავშირება საკუთარ შე-ხედულებებთან და პრიორიტეტებთან;
- რა ფაქტორები/პრაქტიკა უწყობდა ან უშლიდა ხელს მშობლებთან კომუნიკაციას (სას-წავლო პროცესში მათ ჩართვას; სასწავლო პროცესთან მიმართებით მათი შეხედულე-ბებისა და ინტერესების შესწავლას ან გამოკვეთას).

კათედრების მუშაობა:

- რა ფაქტორები/პრაქტიკა უწყობდა ან უშლიდა ხელს მასწავლებლებს შორის თანამშრომ-ლობას დანერგვის პროცესის მონიტორინგისა და შეფასების, პროფესიული საჭიროებების იდენტიფი-ცირების, სკოლის ინსტიტუციური განვითარების შესწავლის მიმართულებით;

სკოლის დირექცია:

- რა ფაქტორები/პრაქტიკა უწყობდა ან უშლიდა ხელს სკოლის დირექციის ჩართულობას შემდეგი პროცესების განხირციელება-შესწავლაში: სასკოლო კურიკულუმის დანერგვის პროცესის მონი-ტორინგი და შეფასება, მასწავლებლების პროფესიული საჭიროებების იდ-ენტიფიცირება, სკოლის ინსტიტუციური განვითარება;
- რა ფაქტორები/პრაქტიკა უწყობა ან უშლიდა ხელს სასწავლო პროცესის დაკავშირებას სკო-ლაში მიმდინარე მმართველობით და დამხმარე პროცესებთან.

მუხლი 8. კურიკულუმის მონიტორინგის პროცესი

1.მონიტორინგის ისეთი მექანიმზები როგორიცაა დაკვირვება, ინტერვიუ, გამოკითხვები, კითხვარის შევსება, მონაცემების შეგროვება სოციალური ქსელებიდან, გამოიყენება პერ-მანენტულად და ემსახურება მასწავლებლისთვის განმავითარებელი ტიპის უკუკავშირს, პროცესების შემდგომი გაუმჯობესების მიზნით.

1.1. მონაცემების შეგროვება მოსწავლეთა ნამუშევრების, შეფასების და მიღწევების შესა-ხებ ხდება სემესტრში ორჯერ დეკემბერსა და ივნისში.

1.2.სკოლის ყველა მასწავლებელთან გაკვეთილზე დასწრება ხდება სემესტრში მინიმუმ ერთხელ, ოქტომრიდან -მაისის პერიოდში. გაკვეთილზე დასწრების შესახებ ინფორმაცია მასწავლებელს ეცნობება დასწრებამდე მინიმუმ ორი დღით ადრე.

1.3.მონაცემების მოგროვების და ანალიზის საფუძველზე, თუ დგინდება, რომ მასწავლე-ბლის საგაკვეთილო პროცესი აცდენილია მოსწავლის იდეასა და შეხედულებას (პარადიგ-მა), არ ეფუძნება ცოდნის კონსტრუირების პრინციპს, არ ხდება შემოქმედებით პროდუ-ქტზე მუშაობით სასწავლო პროცესის განხორციელება, შეფასების კრიტერიუმები არ მი-ემართება ცნებების გააზრებისაკენ, სასწავლო რესურსი არ არის ვალიდური, ამ შემთ-ხვევაში სკოლა უფლებამოსილია დაიწყოს სიღრმისეული მონიტორინგის პროცესი, რაც გულისხმობს გაკვეთილებზე დასწრების ციკლს, დოკუმენტაციის შესწავლას. სიღრმისე-ული მონიტორინგის პროცესი უნდა დასრულდეს მისი დაწყებიდან 90 კალენდარული დღის ვადაში. ხარისხის ჯგუფის დასაბუთებული შუამდგომლობით და დირექტორის

თანხმობით დასაშვებია მონიტორინგის ვადის არაუმეტეს 30 კალენდარული დღით გახანგრძლივება.

1.4.მონიტორინგის დროს მოწმდება და იდენტიფიცირდება: კურიკულუმის განხორციელების პრაქტიკის შესაბამისობა დაგეგმილ კურიკულუმთან.

1.5.ხარისხის ჯგუფი უფლებამოსილია გამოითხოვოს მონიტორინგისთვის საჭირო დოკუმენტაცია/საგნობრივი კურიკულუმი მასწავლებლისაგან.

1.6.ხარისხის ჯგუფი უფლებამოსილია განახორციელოს კურიკულუმის განხორციელე-ბაში ჩართულ პირთა ინტერვიუირება.

მუხლი 9. კურიკულუმის შეფასების, დასკვნის შედგენის და უკუკავშირის პროცესის აღწერა

9.1.მონიტორინგის შემდეგ ხორციელდება კურიკულუმის შეფასების, დასკვნის, უკუკავშირის პროცესი. ხარისხის ჯგუფი ორგანიზებას უწევს სამუშაო შეხვედრას, რომელზეც განიხილება მონიტორინგის ფარგლებში გამოვლენილი მიგნებები, შეუსაბამობებისა და ხარვეზების გამოსწორების რეკომენდაციები და ვადები, საჭიროების შემთხვევაში სხვა ინფორმაცია.

9.2.მასწავლებელი უფლებამოსილია წარადგინოს არგუმენტირებული შენიშვნები და წინადადებები დასკვნის პროექტთან დაკავშირებით. ასევე, წარადგინოს საკუთარი პოზი-ცია მიგნებებთან, რეკომენდაციებთან და ვადებთან დაკავშირებით, ასეთის არსებობის შემთხვევაში. ასევე, უფლებამოსილია შესთავაზოს საკითხის გადაწყვეტის ალტერნტი-ული გზები.

9.3.შეთანხმებული პოზიციის შემთხვევაში მონიტორინგის შესახებ დასკვნა აისახება ხარისხის ჯგუფის სამუშაო გეგმის სემესტრულ ანგარიშში. თავის მხრივ მონიტორინგის და შედეგების შესახებ ინფორმაცია აისახება მასწავლებლის თვითშეფასების ანგარიშში.

თითოეულ ზემოჩამოთვლილ საკითხებთან მიმართებით , მონაცემების შეჯერების საფეძველზე სკოლა ქმნის: -

- რეკომენდაციების პაკეტს მოდევნო წლის სასკოლო კურიკულუმის შესამუშავებლად;
- რეკომენდაციების პაკეტს სკოლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმის განსაახლებლად;

რეკომენდაციები უზრუნველყოფს მომდევნო წელს უფრო მყარ თანხვედრას „დაწერილ/ /შეთანხმებულ“ და „აღსრულებულ“ კურიკულუმს შორის

მუხლი 10. კავშირი სხვა პროცესებთან

10.1. სასკოლო კურიკულუმის განვითარების პროცესი უკავშირდება სკოლაში მიმდინარე დამხმარე და მმართველობით პროცესებს. კერძოდ;

- დამხმარე პროცესებთან მიმართებით გადაწყვეტილებები მიიღება როგორც წესი, სასწავლო პროცესის საჭიროებებიდან გამომდინარე;
- მმართველობითი პროცესები კი კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების პროცესის უშუალო გაგრძელებას წარმოადგენს.;

10.2 სასკოლო კურიკულუმის განვითარება უკავშირდება ეროვნულ დონეზე მიმდინარე პროცესებს., მისი წყალობით გროვდება მონაცემები და გამოცდილება, რომლის გათვალისწინებითაც იგეგმება ცვლილებები სასკოლო სასწავლო გეგმასა და მისი დანერგვის პროცესში.

მუხლი 11. დასკვნითი დებულებები

სასკოლო კურუკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიას, პედაგოგიურ საბჭოსთან შეთანხმებით, ამტკიცებს სკოლის დირექტორი ბრძანებით.